

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №56

2024 წლის 25 ნოემბერი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016602) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი თავდგირიძე

დანართი №1

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:
(ათას ლარებში)

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	254,575.9	333,364.7	393,500.8		393,500.8
გადასახადები	98,039.5	102,991.5	106,217.2		106,217.2
გრანტები	87,327.7	134,000.4	202,392.1		202,392.1
სხვა შემოსავლები	69,208.6	96,372.8	84,891.5		84,891.5
ხარჯები	161,938.4	192,282.7	250,406.9		250,406.9
შრომის ანაზღაურება	28,454.7	37,636.0	44,780.7		44,780.7



საქონელი და მომსახურება	56,311.4	68,368.1	77,364.1		77,364.1
პროცენტი	5,015.3	4,488.7	4,892.8		4,892.8
სუბსიდიები	23,326.2	19,422.8	24,192.7		24,192.7
გრანტები	3.1	2.5	15.0		15.0
სოციალური უზრუნველყოფა	13,836.8	16,926.2	19,203.7		19,203.7
სხვა ხარჯები	34,990.9	45,438.5	79,957.9		79,957.9
საოპერაციო სალდო	92,637.5	141,081.9	143,093.9		143,093.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	47,171.8	109,649.7	164,636.8		164,636.8
ზრდა	58,730.1	119,741.9	172,636.8		172,636.8
კლება	11,558.3	10,092.1	8,000.0		8,000.0
მთლიანი სალდო	45,465.7	31,432.2	-21,542.9		-21,542.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	19,576.8	5,815.6	-58,500.0		-58,500.0
ზრდა	19,576.8	5,815.6			
ვალუტა და დეპოზიტები	19,576.8	5,815.6			
კლება			58,500.0		58,500.0
ვალუტა და დეპოზიტები			58,500.0		58,500.0
აქციები და სხვა კაპიტალი					
ვალდებულებების ცვლილება	-25,888.9	-25,616.6	-36,957.1		-36,957.1
კლება	25,888.9	25,616.6	36,957.1		36,957.1
საშინაო	25,888.9	25,616.6	36,957.1		36,957.1
ბალანსი	0	0	0	0	0

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები



				გამოყოფილი ტრანსფერები	
შემოსულობები	266,134.2	343,456.8	401,500.8		401,500.8
შემოსავლები	254,575.9	333,364.7	393,500.8		393,500.8
არაფინანსური აქტივების კლება	11,558.3	10,092.1	8,000.0		8,000.0
გადასახდელები	246,557.3	337,641.2	460,000.8		460,000.8
ხარჯები	161,938.4	192,282.7	250,406.9		250,406.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	58,730.1	119,741.9	172,636.8		172,636.8
ვალდებულებების კლება	25,888.9	25,616.6	36,957.1		36,957.1
ნაშთის ცვლილება	19,576.8	5,815.6	-58,500.0		-58,500.0

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 393,500.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
შემოსავლები	254,575.9	333,364.7	393,500.8
გადასახადები	98,039.5	102,991.5	106,217.2
გრანტები	87,327.7	134,000.4	202,392.1
სხვა შემოსავლები	69,208.6	96,372.8	84,891.5

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 106,217.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
11	გადასახადები	98,039.5	102,991.5	106,217.2
113	გადასახადები ქონებაზე	45,362.7	45,782.1	44,000.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	45,362.7	45,782.1	44,000.0
11311	ქონების გადასახადი	45,362.7	45,782.1	44,000.0
113111- 113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40,220.0	39,362.0	39,000.0



113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,988.2	4,074.9	2,700.0
113114- 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	2,154.5	2,345.3	2,300.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადები	52,676.9	57,209.4	62,217.2

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 202,392.1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
13	გრანტები	87,327.7	134,000.4	202,392.1
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	25.4	175.6	263.5
1311	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	25.4	175.59	263.5
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	87,302.4	133,824.8	202,128.6
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	49,979.6	68,550.8	112,991.9
133121	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	49,979.6	68,550.8	112,991.9
1331211	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	49,979.6	68,550.8	112,991.9
	კაპიტალური დანიშნულების გრანტები	37,322.8	65,274.0	89,136.7
133211	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან			128.6
1332119	სხვა ტრანსფერი			128.6
133221	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	37,322.8	65,274.0	89,008.1
1332212	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	37,322.8	65,274.0	89,008.1

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 84,891.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	69,208.6	96,372.8	84,891.5
141	შემოსავლები საკუთრებიდან	9,665.4	13,865.9	6,934.3
1411	პროცენტები	7,544.1	10,775.9	4,683.0



14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	7,544.1	10,775.9	4,683.0
1415	რენტა	2,121.2	3,090.0	2,251.3
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	185.6	264.0	216.3
14154	შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,935.6	2,826.0	2,035.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	46,931.3	67,967.1	65,972.2
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	46,711.9	67,567.1	65,972.2
14223	სანებართვო მოსაკრებლები	1,287.1	1,212.7	1,000.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	1,287.1	1,212.7	1,000.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	2.0	1.6	
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.4	12.0	
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	41,388.9	62,070.2	59,672.2
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	3,925.2	4,038.2	5,300.0
142215	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი	1.7		
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	101.4	232.4	
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	1.3		
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	219.4	399.9	
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	219.4	399.9	
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	219.4	399.9	
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	10,063.7	12,687.4	7,900.0
144	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2,548.2	1,852.4	4,085.0

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 250,406.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
2	ხარჯები	161,938.4	192,282.7	250,406.9
21	შრომის ანაზღაურება	28,454.7	37,636.0	44,780.7



22	საქონელი და მომსახურება	56,311.4	68,368.1	77,364.1
24	პროცენტი	5,015.3	4,488.7	4,892.8
25	სუბსიდიები	23,326.2	19,422.8	24,192.7
26	გრანტები	3.1	2.5	15.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	13,836.8	16,926.2	19,203.7
28	სხვა ხარჯები	34,990.9	45,438.5	79,957.9

მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 164,636.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 172,636.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	400.3	363.0	192.1
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	44,687.6	85,208.8	127,624.0
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,464.6	15,043.1	20,565.2
04 00	განათლება	4,770.2	15,094.2	14,078.6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	884.6	3,343.6	6,634.2
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	18.1	14.4	311.5
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	906.3	385.2	1,086.9
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	598.3	289.5	2,144.3
სულ		58,730.1	119,741.9	172,636.8

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 8,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	11,558.3	10,092.1	8,000.0



311	ძირითადი აქტივები		8.6	
312	მატერიალური მარაგები		551.1	
314	არამწარმოებლური აქტივები	11,558.3	9,532.4	8,000.0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში 423,043.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
7	სულ	220,668.4	312,024.6	423,043.7
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	20,818.4	24,203.6	34,945.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,566.9	9,863.7	15,671.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,566.9	9,863.7	11,671.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			4,000.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	8,236.2	9,091.7	14,231.5
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	8,236.2	9,091.7	14,231.5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5,015.3	5,248.3	4,892.8
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			150.0
702	თავდაცვა	11.1	12.9	
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	11.1	12.9	
704	ეკონომიკური საქმიანობა	53,095.9	86,910.7	116,438.6
7045	ტრანსპორტი	52,526.2	85,950.0	114,991.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	52,526.2	85,950.0	114,991.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	569.7	960.7	1,447.6
705	გარემოს დაცვა	25,581.8	29,223.5	44,340.8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	12,216.8	16,099.7	18,638.7
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	13,364.9	13,123.8	25,702.1
706	საზინაო-კომუნალური მეურნეობა	51,179.6	66,318.7	103,012.9



7061	ბინათმშენებლობა	18,131.1	27,647.7	38,578.4
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	13,824.8	19,909.4	38,682.0
7063	წყალმომარაგება	1,662.0	780.3	10,306.5
7064	გარე განათება	10,753.9	7,842.7	7,707.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	6,807.8	10,138.7	7,738.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	5,591.6	6,942.4	9,386.7
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	1,135.6	1,253.8	1,991.0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	1,135.6	1,253.8	1,991.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	232.7	212.2	279.5
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	232.7	212.2	279.5
7073	საავადმყოფოების მომსახურება	586.5	888.9	1,238.4
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	42.9	98.5	126.6
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	543.6	790.4	1,111.8
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	3,636.7	4,587.5	5,877.8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	25,820.9	39,940.5	51,700.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	18,745.0	29,371.0	41,108.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	6,882.0	10,365.9	10,259.9
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	193.8	203.5	332.0
709	განათლება	22,780.8	39,736.9	45,470.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	22,618.4	39,590.4	45,295.4
7092	ზოგადი განათლება	24.3		
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	24.3		
7094	უმაღლესი განათლება	124.0	127.0	130.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	124.0	127.0	130.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	14.1	19.5	45.0
710	სოციალური დაცვა	15,788.5	18,735.4	17,748.8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2,617.7	3,350.4	4,942.6
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	10,159.8	12,022.6	12,806.2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3,011.1	3,362.4	



მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -21,542.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 58,500.0 ლარის ოდენობით:
ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 58,500.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	19,576.8	5,815.6	-58,500.0
	ზრდა	19,576.8	5,815.6	
321	საშინაო	19,576.8	5,815.6	
3212	ვალუტა და დეპოზიტები	19,576.8	5,815.6	
	კლება			58,500.0
322	საშინაო			58,500.0
3222	ვალუტა და დეპოზიტები			58,500.0

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 36,957.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 36,957.1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-25,888.9	-25,616.6	-36,957.1
	კლება	25,888.9	25,616.6	36,957.1
331	საშინაო	25,888.9	25,616.6	36,957.1

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2024 წლის ბოლოსთვის:

(ათას ლარებში)

	ვალის ნაშთი
--	-------------



კოდი	დასახელება	2024 წლის ბოლოსათვის
	ვალის საპროგნოზო მოცულობა	334,976.1
1	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - I ფაზა (KfW) *	37,604.1
2	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - II ფაზა (KfW) *	36,058.2
3	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - (KfW) *	13,049.4
4	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - სანიაღვრე (KfW) *	18,730.0
5	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW) *	64,296.0
6	ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - V ფაზა (KfW) *	159,000.0
7	ბათუმის ავტობუსის პროექტი (EBRD) *	6,238.4

შენიშვნა * - საპროგნოზოდ გამოყენებული (ევრო/ლარის სავარაუდო კურსი 1/3.0)

თავი II

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1 **პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულებების მუდმივი სრულყოფა, ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის სფეროში. კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებსა და დონეს. ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. კეთილმოწყობილი ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ქალაქის მოვლილი და განათებული ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.

1.1

აუცილებელია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნას, ხმაურისა და გარემოს დაზიანებების შემცირებას, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა; საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა; გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.



საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

- 1.1.1 ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)

ქვეპროგრამა მოიცავს ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის ერთიანი თანამედროვე სტანდარტის დანერგვას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

- ქ. ბათუმში, ევგენი მიქელაძისა და მ. ჯავახიშვილის ქუჩების კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, გიორგი შარვაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, მაქაცარიას ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, გიორგი ლეონიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია პეტრე ბაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე;
- ქ. ბათუმში, წმინდა ნინოს ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძის და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, ქსენია ბახტაძის ქ. N8-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;
- სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (2023-2024წ.წ..).
- ქ. ბათუმში, ცოტნე დადიანის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, შალვა ნუცუბიძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან სიონის ქ. N108-მდე ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, წმინდა თევდორე აჭარელის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ბათუმგორის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N15-ის მიმდებარედ მონაკვეთის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N15-ის მიმდებარედ ჩიხების კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩაზე ე.წ. აშტას ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №61 ბ-ს მიმდებარედ (მწვანე კონცხი) ხიდის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, თბილისის ქუჩა №100-102-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;
- ქ. ბათუმში, მეფე მირიანის III ჩიხი №8-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;



ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №53-55-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზედადელის ქუჩა N38-ს მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N28-ს მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება N11-ს მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (საგზაო ინფრასტრუქტურა) სალიკვიდაციო სამუშაოები;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის საჭირო გადაუდებელი სამუშაოები;

ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის და ზღვისპირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ტაძრის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის (ქიული შარტავას გამზირის კვეთიდან მამია ვარშანიძის ქუჩის კვეთამდე, მათ შორის გენერალ ასლან აბაშიძის I ჩიხი) კეთილმოწყობა,

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქუჩის კეთილმოწყობა,

ფრიდონ ხალვაშის გამზირის რეაბილიტაცია (ოპიზრების ქუჩის კვეთიდან მახოს ხიდამდე) და ოპიზრების ქუჩის, ტაოს ქუჩის და შანიძის ქუჩის რეაბილიტაცია (ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ჭოროხის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, შალვა დადიანის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქიქავას ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ენვერ ხაბაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ნევერესტან შაშიკაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ნ. გოგოლის ქუჩის (სერგი მესხის ქუჩის კვეთიდან ნ. გოგოლის და წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებლის ქუჩის კვეთამდე) კეთილმოწყობა,

ქ. ბათუმში, კახი კავსაძის II შესახვევი (ყოფილი ზედადელის II შესახვევი) №17-დან დიდგორის ქუჩის №63-მდე გზის კეთილმოწყობა,

ნაჭყებიას ქუჩიდან გოდერძი ჩოხელის ქუჩამდე დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა,

თამარ მეფის გამზირზე მახინჯაურის ცენტრის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის მე-3 ჩიხი №8-12-ის მიმდებარედ სახიდე გადასასვლელის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახი კავსაძის (ყოფილი ზედადელის დასახლება) №1-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა

ქ. ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი №114-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა

ქ. ბათუმში, იუსუფ ფაღავას ქუჩა №29-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა

ქ. ბათუმში, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №77-34-ის მიმდებარედ სახიდე გადასასვლელის მოწყობა;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა- მონტაჟი;

ქ. ბათუმში, პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01 06)

ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების სისტემის გაფართოებას და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;



1.1.3

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი;

ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები (პროგრამული კოდეზი 02 01 07)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

1.1.4

არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვანაპირი, ბოძები) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გასაგამოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდეზი 02 02)

პროგრამის მიზანი - სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ადამიანთა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებებს შორის, ყველაზე ეფექტიან ტრანსპორტადაა მიჩნეული. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მაღალი სიმჭიდროვის პირობებში, როცა კერძო ტრანსპორტი იწვევს დატვირთულობას და ქმნის საცობებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემას ცალკე გამოჰყოფენ მისი შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

1.2

მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. ყოველივე აღიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება, რაც გულისხმობს თანამედროვე, ადაპტირებულ და საჭიროების მქონე ყველა პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ სატრანსპორტო სერვისს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პარკირების სერვისისა და მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის მართვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდეზი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კერძოდ:

1.2.1

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);

"შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის“ მუნიციპალური მიკროავტობუსის და ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება.

საზაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდეზი 02 03)

პროგრამის მიზანი - ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებში, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შედავათანის სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი გულისხმობს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას.



ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

1.3

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია;
- კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება.

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01)

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია,

სანიაღვრე ჭის სახურავების შემენა,

სანიაღვრე არხების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია, კერძოდ:

მამია ვარშანიძის ქუჩიდან ანა კალანდაძის ქუჩამდე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

"გეზი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის პირველი შესახვევიდან კახაბრის ქუჩამდე დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენა

ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. N68-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N41-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, იური გაგარინის ქ. N46-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, ზედალელის დასახლება N21-თან სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენა

ზედალელის მე-2 შესახვევი №20-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

1.3.1

თევდორე მღვდლის ქ. №10-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

თამარ მეფის გამზირი N63-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. N37-ის მიმდებარედ (თევზის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ნიკო ჯაყელის ქუჩის N23-დან N43-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა

ქ. ბათუმში, თევდორე მღვდლის ქუჩის N1-დან N114-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა

ქ. ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N41-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმის მერიის სასაწყობო ტერიტორიაზე გამავალი სანიაღვრე არხის ფერდსამაგრი კედლების მოწყობა

ლეს და მარია კაჩინსკების ქ. N35-დან ადლიის ქუჩის პარალელურად ადლიის ქ. N76-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, ხახულის II შესახვევი N7-დან N16-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა

ქ. ბათუმში შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს ბულვარში მდებარე ზღვის წყლის საქაჩი ძველი სატუმბო სადგურის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა;



ქ. ბათუმში, თამარ მეფის ქ. N47-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა (II ეტაპი).

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (სანიაღვრე სისტემები) სალიკვიდაციო სამუშაოები (9 მისამართი).

წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა

ქ. ბათუმში მდინარე ყოროლისწყლის დამბისა და წყალმიღები კონსტრუქციის მშენებლობა.

ქ. ბათუმში, ავეიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კვ.მ. წყლის რეზერუარის მშენებლობა და ავეიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა.

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელის წყლის სისტემის და 300 კვ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა,

მახინჯაურის დასახლების (თამარ მეფის გამზირის III შესახვევის №32-დან №50-მდე; თამარ მეფის გამზირის I შესახვევის №15-დან №37-მდე; მარკოზ აჭარელის III შესახვევის №38-დან №46-მდე) დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით -20 მმ დიამეტრის მილი).

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

სარგის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავეტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა,

მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავეტაციული ხაზის მოწყობა; ბენჯეს სატუმბო სადგურის ელექტორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობა.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გახორციელდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, კერძოდ ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გაუმჯობესოს ან/და შეიქმნას უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობები.

პროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებასა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა; მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის მიზანია საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა. რომლის ფარგლებში განხორციელდება:

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული ამორტიზირებული ვიტრაჟების შეცვლა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოს ამორტიზირებული შესასვლელი გადახურვის ფილის (ბალდახინის) მოწყობა;

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

1.4.1

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა.

ბათუმის მოსახლეობისთვის თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს შექმნისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის ღონისძიება;

ქ. ბათუმში ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა.

ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა.

1.4.2

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის მიზანი - მუნიციპალური სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მოვლა-პატრონობაში აქვს 44.3 ჰა მუნიციპალური სასაფლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც ხორციელდება, როგორც მოვლა-პატრონობის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები, სასაფლაოების პასპორტიზაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზრუნველყოფილია მუნიციპალური სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:



1.5.1

ადმინისტრირება და მართვა;

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის მიზანი - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა-პატრონობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქ ბათუმის სტრატეგიული განვითარებისათვის.

1.6

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობისა და განვითარების ღონისძიებები ხორციელდება შეუფერხებლად.

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

ქვეპროგრამის მიზანი - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია;

სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მართვა;

1.6.1

საქალაქო ინფრასტრუქტურის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით);

1.6.2

მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა.



1.6.3 მოქალაქეთა მიმართ საკომპენსაციო თანხების გაცემა.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის მიზანი - ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა.

1.7

ქალაქ ბათუმში სათანადო ყურადღება ეთმობა ქალაქის სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას ბათუმელებისა და ქალაქის სტუმრებისათვის სადღესასწაულო განწყობა. უკანასკნელ წლებში, ქალაქში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების წყალობით გაჩნდა გაფორმების ახალი, უფრო სრულყოფილი საშუალებები. მათი მაქსიმალური დატვირთვით შესაძლებელი გახდება ქალაქის სივრცის ოპტიმალური და ეფექტური გამოყენება სადღესასწაულო და საინფორმაციო თვალსაზრისით.

ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა, რომლის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
- ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 02)

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

1.7.1

'საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებისათვის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების და სხვადასხვა მოწყობილობების შესყიდვა;

2021 წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში 26 მაისი N13-ში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების ან სხვა მემორიალური ობიექტის დამზადება და განთავსება.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდები 02 07 04)

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

1.7.2

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

2

პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ

2.1

მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;

ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;

2.1.1

ნარჩენების გატანა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება.

ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა; ქალაქის გამწვანების ღონისძიებები; ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

2.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

- ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდები 03 02 01)

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე გზაგამყოფ სივრცეში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, სამების 1 ჩიხი, N3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია, (2023-2024 წწ.);

ქ. ბათუმში ხახულის მე-2 შესახვევი N67-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N45-ის მიმდებარედ (ს/კ 05.33.22.309) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ა. აბაშიძის N22 (ს/კ 05.26.02.109)-ში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, მელიქიშვილის III შესახვევი N21 (ს/კ 05.26.27.013)-ში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის დასახლება (ს/კ 05.34.28.035)-ში სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ი. ჯავახიშვილის ქუჩა N4ა-ს (ს/კ 05.24.08.010) მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N14ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.32.11.691) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N21ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.24.08.145) სკვერის მოწყობა;



ქ.ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ (ს/კ 05.27.07.010) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის N15/17-ის მიმდებარედ (ს/კ 05.25.10.044)/(ს/კ 05.25.10.037) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა N49-ის მიმდებარედ (ს/კ 05.31.01.908) სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N17-ის (ს/კ 05.30.29.023) მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქალაქი ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N28-ის მიმდებარედ (ს/კ05.25.09.039) /(ს/კ05.25.09.035)/(ს/კ05.25.09.040) სკვერის მოწყობა;

2.1.1 ქალაქი ბათუმი, ძმები ნობელის ქუჩა N18-ის მიმდებარედ (05.30.15.121) სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, ზღვისპირა ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთზე ს/კ 05.23.01.010 „შენი იდეა ბათუმის“ ფარგლებში (გამარჯვებული იდეა N20209) „ჩვენი ბათუმელი ცვლუნები“-სათვის სივრცის ე.წ. სავარჯიშო/გასართობი მოედნის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ძმები ნობელის ქ. N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ადაპტირებული ბათუმი, ((ქ. ბათუმის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული სკამების განთავსება) მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება);

ქ. ბათუმში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N88 მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ნ. ფიროსმანის ქუჩა N18-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N22-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N71-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, თბილისის ქ. N66-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული საფეხმავლო ბილიკის აღდგენა და ზღვაში გამსვლელი სანიაღვრე კოლექტორების შტორმისგან დამცავი სარეგულაციო კედლების მშენებლობა

ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოები;

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N10-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N320-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ცენტრალური პარკის დაცვა.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

2.1.2

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)

მართვა ადმინისტრირება;

2.1.3

მცენარეთა კოლექციის, ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;

ეკო საგანმანათლებლო ღონისძიებები.



სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

3.1

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო.

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა:

საბავშვო ბაღების მართვა-აღმინისტრირება;

3.1.1

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები;

'#31-ე და #33-ე საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები.



